



საკონკურსო დოკუმენტაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის შექმნის მომსახურების შესყიდვა

CPV კოდი - 71222000 - არქიტექტურული მომსახურებები შენობის გარეთ განთავსებული ფართობებისათვის

საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის შექმნის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის (ლანდშაფტური დიზაინი, გარე განათება, პარკირების ნიშნულები, მოასფალტება) საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის გამოვლენა.

3. საკონკურსო პრემია 3000 ლარის ოდენობით კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი საავტორო უფლებების შემსყიდველზე გადაცემის შემდეგ, არაუგვიანეს 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი,

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

IBAN: GE52BR0000010591718543

5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 19 მაისიდან არაუგვიანეს 2014 წლის 22 მაისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქმისწარმოების სამმართველო, ოთახი #105, ტელ.: 2 37 80 44.

6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსსანტს.

7. საკონკურსო წინადადებების გახსნა განხორციელდება 2014 წლის 22 მაისს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: მარშალ გელოვანის გამზირი N6, სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

8. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონკურსო კომისიის აპარატში - საკონტაქტო პირი: თეიმურაზ ბექაური და თეიმურაზ კვიციანი ტელ: +9953 2 37 80 12.

საკონკურსო პირობები

1. შესყიდვის ობიექტის აღწერა (ტექნიკური დავალება)

საკონკურსო პირობების თანახმად, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის (ლანდშაფტური დიზაინი, გარე განათება, პარკირების ნიშნულები, მოასფალტება) მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის შედგენა, რომელიც წარმოადგენილი უნდა იქნეს 3D პროექციაში (რეალურ სივრცეში).

კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე დასაპროექტებელი უბანი წარმოადგენს 6 დამოუკიდებელი შენობისაგან შემდგარ ტერიტორიას შემდეგი საკადასტრო მონაცემებით:

#1 ს/კ 01.10.10.022.085 (შენობა-ნაგებობები #1, #4) - სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

#2 ს/კ 01.10.10.022.151 (შენობა-ნაგებობა #1-2) - სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;

#3 ს/კ 01.10.10.022.115 (შენობა-ნაგებობები #1, #2) - სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;

#4 ს/კ 01.10.10.022.084 (შენობა-ნაგებობები #1, #2, #3, #4) - სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“;

#5 ს/კ 01.10.10.022.042 (შენობა-ნაგებობები #1, #2, #3, #4, #5) - სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“;

#6 ს/კ 01.10.10.022.042 (შენობა-ნაგებობები #6, #8, #9) შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“.

კონცეფციის ფარგლებში, თითოეული პოზიციით განსაზღვრული შენობა-ნაგებობისათვის შემუშავებული უნდა იქნეს იზოლირებული, შენობამდე დამოუკიდებლად მისასვლელი საავტომობილო გზა და ავტომანქანების განთავსების ადგილები. მათ შორის:

პოზიცია #1- ს/კ 01.10.10.022.085 (შენობა-ნაგებობები #1, #4) - წარმოადგენს სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობას, რომლის წინა და უკანა მხარეს უნდა მოეწყოს პარკინგი სამინისტროს ბალანსზე რიცხული 22 ერთეული ავტომანქანისათვის, ხოლო შენობის გვერდით განთავსებული უნდა იქნეს პარკინგი სამინისტროს თანამშრომლების კუთვნილი ავტომანქანისათვის (სავარაუდო რაოდენობა 50 ერთეული). პროექტის ფარგლებში პარკირებისათვის ტერიტორია ათვისებული უნდა იქნეს მაქსიმალურად, ხოლო თავად პოზიციით განსაზღვრული ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი და იზოლირებული სხვა ადმინისტრაციული შენობებისაგან შლაგბაუმებით.

პოზიციებისთვის #2 ს/კ 01.10.10.022.151 (შენობა-ნაგებობა #1-2) და **#3** ს/კ 01.10.10.022.115 (შენობა-ნაგებობები #1, #2) პარკირების ადგილები გათვალისწინებული უნდა იქნეს 61 ერთეული, ხოლო პოზიცია #4 -სთვის ს/კ 01.10.10.022.084 (შენობა-ნაგებობები #1, #2, #3, #4) 5 ერთეული სამსახურებრივი ავტომანქანისათვის, #3 პოზიციით განსაზღვრული შენობების გვერდით უნდა გაფართოვდეს შენობებამდე მისასვლელი საავტომობილო გზა და მოეწყოს საერთო პარკინგი თანამშრომელთა ავტომანქანისათვის (სავარაუდოდ 70 ერთეული ავტომანქანა). ტერიტორიები უნდა იყოს კეთილმოწყობილი და იზოლირებული.

პოზიციისთვის #5 ს/კ 01.10.10.022.042 (შენობა-ნაგებობები #1, #2, #3, #4, #5) პარკირების ადგილები გათვალისწინებული უნდა იქნეს 12 სამსახურებრივი ავტომანქანისათვის და თანამშრომლებისათვის. (სავარაუდოდ 30 ერთეული ავტომანქანა). ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი და

იზოლირებული. შენობის ზედა მხარეს აღდგენილი უნდა იქნეს და გაფართოვდეს შენობამდე მისასვლელი საავტომობილო გზა.

პოზიციისთვის #6 ს/კ 01.10.10.022.042 (შენობა-ნაგებობები #6, #8, #9) პარკირების ადგილები გათვალისწინებული უნდა იქნეს 27 ერთეული სამსახურებრივი ავტომანქანისათვის და თანამშრომლებისათვის (სავარაუდოდ 50 ერთეული ავტომანქანა). შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საერთო ავტოსადგომი სტუმრებისათვის.

აღდგენილი და კეთილმოწყობილი უნდა იქნეს ასევე ტერიტორიაზე განთავსებული სტადიონი.

2. არქიტექტურული გადაწყვეტა მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის, არსებული სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

3. დაინტერესებულ კონკურსანტებს უფლება აქვთ დაათვალიერონ ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობები და მათი მიმდებარე ტერიტორიები.

4. კონკურსში მონაწილეობის საფასური.

4.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“-ს ცენტრალური ფილიალი,

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღები: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

IBAN: GE52BR0000010591718543

4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

4.3 საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

4.4. 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5. საკონკურსო წინადადების წარდგენა

5.1 საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარდგენილი უნდა იქნეს 2014 წლის 19 მაისიდან არაუგვიანეს 2014 წლის 22 მაისის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქმისწარმოების სამმართველო, ოთახი #105, ტელ.: 2 37 80 44.

პაკეტის მარკირება უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსის დასახელებას;

ბ) კონკურსანტის დასახელებას, ფაქტიურ მისამართს, უფლებამოსილი პირის თანამდებობას, სახელს, გვარს და საკონტაქტო ინფორმაციას.

5.2. საკონკურსო წინადადება და ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

5.4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

5.5. საკონკურსო წინადადებების გახსნა განხორციელდება 2014 წლის 22 მაისის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მე-2 სართული, დარბაზი #207.

5.6. კონკურსის შედეგები გამოცხადებული იქნება არაუგვიანეს 2014 წლის 30 მაისისა.

5.7. გამარჯვებული კონკურსანტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა წინადადება კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

5.8 საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით შედგენილ კონცეფციასა და ესკიზების ელექტრონულ ვერსიას 3D პროექციაში (რეალურ სივრცეში);

ბ) ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით შედგენილ კონცეფციასა და ესკიზებს ფერადად ამობეჭდილი სახით შესაბამისი ფორმატით;

გ) კონცეფციის განმარტებით ბარათს, რომელშიც განხილულ იქნება არქიტექტურული გადაწყვეტის ძირითადი იდეა, პრინციპი, გამოყენებული მასალა და ა.შ. დასაბუთება უნდა იყოს მომზადებული კომპეტენციის მაღალი დონით და ეფუძნებოდეს თანამედროვე არქიტექტურის გამოცდილებას.

დ) ინფორმაციას მონაწილე კონკურსანტის მიერ განხორციელებული არანაკლებ 2 მსგავსი პროექტის (3D-ში შესრულებული ნამუშევრების) შესახებ დამკვეთების და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით;

ე) კონკურსანტის რეკვიზიტებს (დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ხელმძღვანელის თანამდებობას, სახელსა და გვარს, საკონტაქტო ტელეფონს, ელ ფოსტის მისამართს, საბანკო რეკვიზიტებს).

ვ) საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

6. საკონკურსო წინადადების შერჩევა და შეფასება.

6.1 საკონკურსო წინადადებების გახსნის შემდეგ განხორციელდება მათი შერჩევა და შესაბამისობის დადგენა ტექნიკური დავალების 5.8 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. არასრული ინფორმაციის შემცველი საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება საკონკურსო პროცედურიდან.

6.2 საკონკურსო წინადადებები შეფასდება ქვემოთ მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

6.3 საკონკურსო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებითა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტებით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	კონცეფციისა და ესკიზის შესაბამისობა ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან	0,5
2	კონცეფციისა და ესკიზის ეფექტური მხარე	0,5
		1

7. სახელწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების აუცილებელი პირობები

7.1 კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმებული იქნება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

7.2 კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეს საკონკურსო პრემია 3000 ლარი გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი საავტორო უფლებების შემსყიდველზე გადაცემის შემდეგ, არაუგვიანეს 5 საბანკო დღის განმავლობაში.

7.3 კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები წარმოდგენილ არქიტექტურულ კონცეფციასა (პროექტი) და ესკიზებში.

8. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონკურსის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.